პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 4 აპრილი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

72 (1067)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## მეტი ყურადღება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს.

ამ ჟამათ ჩვენი უახლოეს ამოცანას შეადგენს, მოსახლეობათა შორის წერა—კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ამ ამოცანის ცხოვრებაში განხორციელებისთვის, საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო მთელი რიგი ზომებისა და უნდა ითქვას, რომ მოსახლეობათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ამ ჟამათ სათანადოთ ვითარდება.

მაგრამ ამ საქმის უფრო მეტათ განვითარებას და გაღრმავებას მოითხოვს შემდეგი მოსაზრებანი:

როგორც ვიცით, ჩვენ ყოველ წლიურათ ვიწვევთ ჩვენი ჯარის ნაწილების შესავსებათ—მშრომელთა ახალგაზრდობას, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ სამხედრო მომზადებასთან ერთად, პოლიტიკურ და კულტურულ მომზადებასაც.

ჯარში გამოწვეული ახალგაზრდობის, სამხედრო, პოლიტიკური და კულტურული მომზადება კი მოითხოვს იმას, რომ ამ ახალგაზრდობამ კარგად იცოდეს წერა-კითხვა.

თუ წერა-კითხვის უცოდინარი იქნება ჯარში გამოწვეული ახალგაზრდობა, მაშინ ცხადია, რომ მათ შორის სამხედრო, კულტურული და პოლიტიკური მუშაობა სათანადო წარმატებით ვერ წავა.

მართლაც თუ ჩვენ დავაკვირდებით ახალწვეულთა შემადგენლობას (1903 წ. დაბად.) დავინახავთ, რომ მათ შორის 30 პროც. წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

ეს კი იმის დამამტკიცებელია, რომ ფართო მშრომელთა ახალგაზრდობაში, ჯარში გამოწვევამდი კარგად არ ტარდებოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ამ ფაქტს ჩვენ დიდი ანგარიში უნდა გაუწიოთ და მომავალი გამოწვევის დროს ჩვენ უნდა შევსძლოთ სრული ასი პროცენტით მოვახდინოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ახალგაზრდობის შორის, მათი ჯარში გამოწვევამდი.

ამისთვის კი საჭიროა, რომ მთავარ განათლების სამმართველომ აწარმოვოს დიდი მუშაობა ამ საკითხის სასურველათ გადასაჭრელათ. თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საქმე სასურველათ ვერ დაგვირგვინდება. მართლაც, როგორც ვიცით სამხედრო საქმე ყოველდღიურათ ვითარდება და რთულდება.

ის დრო, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია—შეგნებულ, მომზადებულ მებრძოლის აღზრდისათვის, სწორედ ეს დრო ჯერ კიდევ სამხედრო და პოლიტიკურ საქმეებისთვისაც კი არ გვყოფნის და წ. კ. ლიკვიდაციის მუშაობა ნაწილებში უეჭველათ არა ნაკლებ დროს წაგვართმევს. ამიტომ ცხადია, რომ ჩვენ მთელი ენერგია უნდა დავხარჯოთ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ შევსძლოთ ჯარში გამოწვევამდი ახალგაზრდობის შორის წერა კითხვის უცოდინარობას ლიკვიდაცია უყოთ.

განსაკუთრებით ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ცვალებადელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს.

ცვალებადელთა მოკლე ვადიანი შეკრება ჩვენ არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მათ შორის სამხედრო მომზადებასთან დაკავშირებით გავატაროთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაც.

ამიტომ აქაც ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ახალწვეულებთან: წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია გამოწვევამდი უნდა იქნეს გატარებული მათ შორის.

ამისთვის კი საჭიროა, რომ ჩვენმა ნაწილებმა დიდი ყურადღება მიაქციონ წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების მუშაობას და მიიღონ მასში მხურვალე მონაწილეობა. ხოლო ამ მუშაობის შესახებ კი საჭიროა იმათმა მოგვაწოდონ სათანადო ცნობები, რაიც საშუალებას მოგვცემს იმის შესახებ თუ როგორ ტარდება ეს საქმე ახალგაზრდობის შორის.

# ახალი რადიო ამბები

## მოლაპარაკება სახალხო არმიასა და მის მოწინააღმდეგეთა შორის.

სამშვიდობო მოლაპარაკება სახალხო ამიასა და მის მოწინააღმდეგეებს შორის დამარცხდა, ვინაიდან სახალხო არმიის მოწინაღმდეგეები, უცხოელ სახელმწიფოების წაქეზებით მოითხოვდენ სახალხო არმიის ქედის მოხრას. ამასთან, როგორც სჩანს, უ-პეი-ფუსა და ჩან-ძო-ლინს შორის მოლაპარაკება ჩიხში მოემწყვდა.

ჩინეთის გაზეთების ცნობით, მოსალოდნელია ძალთა ახალი გადაჯგუფება.

ამას გარდა ვერ შეთანხმდა ჩან-ძო-ლინი და ლი-ჩინ-ლინი სამხედრო გუბერნატორის თანამდებობის დაკავებაზე ჩჟილში.

მოსალოდნელია შეტაკება მათ შორის, ვინაიდან ორივეს სურთ დაიკავონ ეს თანამდებობა.

## საერთო გაფიცვების მოლოდინში.

კუნძულ კუბის (ამერიკაში) რკინისგზელთა კავშირი ემზადება საერთო გაფიცვებისთვის პასუხად მსხვილ სარკინისგზო კამპანიების გადაწყვეტილებისა—შეექმნათ საკუთარი კავშირები არსებულ პროფესიონალურ ორგანიზაციების მაგივრად.

## რუმინეთის ახალი მთავრობის განცხადება.

რუმინეთის ახალი მთავრობის უფროსმა ავარესკუმ გამოაქვეყნა მთავრობის განცხადება, რომელშიაც დღისწესრიგში დასმულია მიწის რეფორმის გადასინჯვა და ყველა იმ სახელმწიფოებთან დაახლოება, რომლებთანაც რუმინეთს არ ჰქონია დღემდის დიპლომატიური ურთიერთობა.

პარლამენტის არჩევნები დანიშნულია 25 მაისისთვის.

## გაზ. „ტაიმსი“-ს კორესპონდენტის გაძევება

ოსმალეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა გააძევოს სტამბოლიდან გაზ. „ტაიმსი“-ს კორესპონდენტი ოსმალეთის შესახებ ყალბი ცნობების გავრცელებისთვის.

## ძვირფას ისტორიულ საგნების პოვნა

ქალაქ ვილნოს ერთ ქუჩაზე აღმოჩენილ იქნა ძვირფასი ისტორიული საგნები, რომლებიც ეკუთვნის მე-12 საუკუნეს.

ნაპოვნ საგნებს შორის აღმოჩნდა მეფის გვირგვინი, 6 ფუთი ვერცხლის ფული, ლიტვას რუსეთის წიგნები და საბუთები, რუსულ ენაზე დაწერილი.

## საბჭოთა კავშირში

### საბჭოთა წარმომადგენლობა რკინისგზის საერთაშორისო კავშირში.

გზათა სახალხო კომისარმა მიიღო ცნობა საერთაშორისო რკინისგზის კავშირის თავმჯდომარისაგან, რომ შემოდგომაზე დასმულ იქნება საკითხი საბჭოთა წარმომადგენელის შესვლის შესახებ რკინისგზების კავშირის პრეზიდიუმში.

ამჟამად პრეზიდიუმში შედის ოთხი წარმომადგენელი—საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიისა და იტალიის. საკითხი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელის პრეზიდიუმში შეყვანის შესახებ წამოყენებულ იქნა გზათა სახალხო კომისრის მიერ რამოდენიმე ხნის წინად, ვინაიდან საბჭოთა კავშირს უკავია პირველი ადგილი რკინისგზების სიგრძით იმ ქვეყნებ შორის, რომლებიც შედიან კავშირში.

### ლენინგრადის მრეწველობის მდგომარეობა

ლენინგრადის საბჭოს პრეზიდიუმის ცნობებით ლენინგრადის მრეწველობას დიდი მიღწევები აქვს. მრეწველობაში მუშაობს 212.000 მუშა.

კოოპერაცია საგრძნობლად გაძლიერდა. საქალაქო მეურნეობა დღითი დღე უმჯობესდება. ქარხნებს მუშაობის მხრივ არავითარი შეფერხება არ მოელის.

## საქართველოში.

### შავი ქვის გატანა

ჰამბურგში ფოთის ნავთსადგურიდან გავიდა გერმანიის გემი „მერმარა“, დატვირთული 1.006 ტონა (61 ფუთი) შავი ქვით.

ორშაბათს, 5 აპრილს, საღამოს 6 საათზე ტფილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია ტფილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:

1. ელსადენის გაყვანილობათა ნორმები.
2. „ზაჰეს“-ის ტარიფი,
3. პროექტის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება ტრამვაიელების კომ. მუშათა სახლის ასაგებდ,
4. მოხსენება ბიუჯეტის შესახებ,
5. მიმდინარე საკითხები.

აღმასკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

## გერმანიის „წითელ ფრონტელთა კავშირი“.

გერმანიის კომპარტიის ორგანო „როტეფანეში“ მოთავსებულია, მოკლე ცნობა რომ გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს აკრძალოს „წითელ ფრონტელთა კავშირი“ თუმცა გერმანიის მთავრობა ითმენს მრავალრიცხოვან ფაშისტურ სამხედრო და ნახევრად სამხედრო კავშირების თავხედობასა და ბოროტმოქმედებას,--მაგრამ სასტიკად ილაშქრებს „წითელ ფრონტელთა კავშირის წინააღმდეგ, ვინაიდან ეს კავშირი ორი წლის არსებობის განმავლობაში გახდა ძლიერი და ერთიანი მუშათა ფრონტი, რომელიც თანდათან იზრდება.

„წითელ ფრონტელთა კავშირი“ წარმოიშვა 1923 წლის ოქტომბრის შემდეგ, როცა გერმანიაში დამარცხდა რევოლიუციონური მოძრაობა, მუშათა კლასმა გადასწყვიტა დამარცხებულ „პროლეტარულ ასეულების“ ადგილზე შეედგინა მუშათა თავდაცვის ახალი ორგანიზაცია. ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს „წითელ ფრონტელთა კავშირი“.

კავშირმა წამოისროლა ლოზუნგი პროლეტარულ ძალთა შეკავშირებისა კლასობრივი ბრძოლის საფუძველზე,—და ამ ლოზუნგის გარშემო თანდათან შეიკრიბა იმპერიალისტურ ომში ნამსახური მუშები, და შემდეგ პროლეტარიატის სხვა აქტიური ფენებიც. თავდაცვის ამოცანების გარდა კავშირმა დაისახა თავის უშუალო მიზნათ ბრძოლა ახალი იმპერიალისტური ომების საშიშროების წინააღმდეგ. ამ ლოზუნგმა დიდი გავლენა ჰპოვა მასებში. გასულ წელს კავშირს ყავდა 255 ადგილობრივი ჯგუფი 15.000 წევრით. ამ წლის დასაწყისში კი 1.275 ადგილობრივი ჯგუფი და 100.000 წევრი.

გარდა ამისა კავშირთან არსებობს ახალგაზრდათა ორგანიზაცია, რომელსაც მიუხედავად თავისი არსებობის მოკლე ისტორიისა ყავს 700 ადგილობრივი ჯგუფი 20.000 მეტი წევრით. თუ პირველ ხანებში კავშირს უჭირდა ელო მუშაობის სწორი ხაზი, მან მალე ჰპოვა გარკვეული გზა, რომელიც წარმოადგენს მოსამზადებელ სკოლას კლასობრივ პროლეტარულ ბრძოლისთვის. კავშირი ფართედ აწარმოებს პროპაგანდას თავის წევრებსა და მუშათა მასებს შორის ერთიან მუშათა ფრონტის სასარგებლოდ და ის მრავალი პროლეტარისთვის წარმოადგენს პირველ საფეხურს კომპარტიის რიგებში მშრომელთა მიზიდვის საქმეში. და სწორედ ამის გამო მან სასტიკი სიძულვილი გამოიწვია არა მარტო ბურჟუაზიის და მისი ფაშისტური ორგანიზაციების მხრივ, არამედ „რესპუბლიკანური ფლაგის კავშირის“ მხრივაც, რომელსაც ხელმძღვანელობენ სოციალ-დემოკრატები. მაგრამ შედეგი მეტად უნუგეშო დარჩა შემთანხმებელთათვის. „რესპუბლიკანური ფლაგის“ რიზის ჯგუფის ყველა რიგის წევრები კოლექტიურად გადავიდენ „წითელ ფრონტელთა კავშირში“ ასეთი მაგალითები ეხლაც გრძელდება. „წითელ ფრონტელები“ არ მისდევენ შემთანხმებელთა მაგალითს დევნის მხრივ. ისინი მხოლოდ მოუწოდებენ ყველა მშრომელთ სოციალ-დემოკრატებსა და უპარტიოებს ერთიანი მოქმედების, ერთიანი მუშათა ფრონტისაკენ და კავშირის მოწოდებებს დიდი წარმატება აქვს. მაგალითად: როცა სწარმოებდა კამპანია მეფის გვარეულობაზე ქონების ჩამორთმევის შესახებ, მუშათა მასების დიდი უმეტესობა მხურვალედ გამოეხმაურა „წითელ ფრონტელთა კავშირის“ მოწოდებებს.

ა. ს.

## ჯგუფის ხელმძღვანელები.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქართული ნაწილების პოლიტსაათის ჩასატარებლად გადავიდა ჯგუფურ სისტემაზე. ჯგუფები გამოყოფილ ლექტორების და მიიღო ფართო ხასიათი, რათა წარმოებულ იქნეს აღმზრდელობითი მუშაობა წითელარმიელთა მასაში. ჯგუფურ სისტემას დიდი სარგებლობა მოაქვს და წითელი არმიელი კარგად ითვისებს ყოველივე იმას, რასაც ასწავლიან ჯგუფის ხელმძღვანელები. ჯგუფებათ ლექციონი წითელარმიელები დაყოფილია ჯგუფებად, გამოყოფილ და ბატარეის (ან მისი თანაშემწე ნაწილის) მიხედვით. ჯგუფების რიცხვის სიმრავლემ მიიყვანა ლექციონი იმ კითხვამდე, რომ აუცილებლად გადიდდეს ჯგუფის ხელმძღვანელთა რიცხვი. ყველა ჯგუფს ყავს თავისი ხელმძღვანელი, მაგრამ მოიპოვება ან ისეთი ხელმძღვანელები, რომლებსაც ნაკლები ცოდნა და გამოცდილება აქვთ. ჯგუფის ხელმძღვანელების სწრაფი გადამზადება, მით უმეტეს, როდესაც ეხლა მეცადინეობის სისტემა და მეთოდი სრულებით ახალს წარმოადგენს ხელმძღვანელებისათვის.

მთელი მუშაობის ცენტრი ნაწილებში ჯგუფის ხელმძღვანელების გადამზადებისა მეთოდიურ კომისიებში. მეთოდიურ კომისიაში მუშაობა მოიკრებს, ალია ჯგუფის ხელმძღვანელების გამოცდილება. გამოცდილების შეკრება და ნაკლის გამოსწორებაზე ჯგუფის ხელმძღვანელთა შორის აზრის გაზიარება, ჯამის გაკეთება, დადებითი და უარყოფითი მხარეების აღრიცხვა არ ხდება. ჩვენ გაზეთის ფურცლებზე ნაკლებად იწერება ჯგუფის ხელმძღვანელების გამოცდილებანი დადებითი და უარყოფითი მხარეები. საქართველოს გაზეთ „წითელ არმიელის“ ამ მხრივ გაუწიოს დახმარება ჩვენს ჯგუფის ხელმძღვანელ ამხანაგებს, რომ წერილები იწერებოდეს ისე, რათა შემდეგ მუშაობაში გამოყენებულ იქნას წარსული გამოცდილება და მიღწევები. გაზეთი „წითელი არმიელი“ ამას შესძლებს მაშინ, როცა თვითეული ჯგუფის ხელმძღვანელი საერთო სახელმძღვანელო და საინტერესო საკითხებს გამოიტანს გაზეთ „წითელ არმიელის“ ფურცლებზე.

ტ. მამალაძე.

## სურსათ-სანოვაგის დამზადება წითელ ჯარში.

შემდეგი აუცილებელი პირობა, (რაც გუშინდელ წერილში გვქონდა აღნიშნული) სურსათ-სანოვაგის დამზადებისა მდგომარეობს იმაში, რომ დასამზადებელი პროდუქტები აუცილებლივ იყოს ისეთი, როგორც ამას მოითხოვს სამხედრო უწყების კონდიციები. ეს პირობა უნდა შეტანილ იქმნას ან ხელშეკრულების რომელსამე მუხლად, ან კიდევ უნდა დაერთოს მას. პროდუქტის მიღების დროს კონდიციის მოთხოვნილებას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება.

დამზადების უკანასკნელ პირობათ ჩაითვლება ხელშეკრულების თავის დროზე ასრულება, ე. ი. პროდუქტების ვადაზე ჩაბარება. როგორც გამოცდილებიდან ვიცით, ეს პირობა მოიჯარადრეების მიერ ყოველთვის არ სრულდება პირნათლათ. ეს პირობა მჭიდროთაა დაკავშირებული პირველ პირობასთან; ჩვეულებრივად ხელშეკრულების თავის დროზე არ ამსრულებლებს ეკუთვნიან ის მოიჯარადრენი, რომელნიც თანხმდებიან, პროდუქტების ჩაბარებაზე უფრო ნაკლებ ფასებში.

სხვანაირად სდგას საკითხი სურსათ-სანოვაგის შეძენისა მის უშუალოდ მწარმოებლისაგან, რასაც, თუ შესაძლებელია, ყველა სამნეო მუშაკმა უნდა გაუწიოს ანგარიში და მისცეს აუცილებლივ უპირატესობა (ვიმეორებ თუ შეიძლება).

უმთავრესი უპირატესობა უშუალოდ მწარმოებლიდგან სანოვაგის შეძენისა მდგომარეობს იმაში, რომ აქ არაა სხვა და სხვა შუამავალი პირები, ასე რომ მყიდველი პროდუქტში იხდის ფასს სულ მინიმალურს.

ის სამნეო მუშაკი, რომელსაც ჰსურს შეიძინოს პროდუქტი უშუალოდ მწარმოებლიდან, მოვალეა დაწვრილებით გაეცნოს დამამზადებელ ორგანოების ყველა მუშაობას, უნდა ასწონ-დასწონოს, მიიღოს მხედველობაში გადატან-გადმოტანის და სხვა ამ გვარი ხარჯები, აგრეთვე პროდუქტის შენახვა ვადამდის და, თუ ყველა ამის შემდეგ ხელსაყრელი იქმნება, მოიჯარადრესთან შედარებით, უშუალოდ მწარმოებლიდან შეძენა,—შეიძინოს.

უშუალოდ მწარმოებლიდან დამზადების დროს, ვხვდებით მთელ რიგ დაბრკოლებებს, რომელსაც ეკუთვნის მაგალითად დამზადების მომენტში სათანადო კრედიტის არ ქონება, თუ ნდაც რამოდენიმე დღის შემდეგ ეს კრედიტი კიდეც იყოს. უშუალოდ მწარმოებელი ყოველთვის არ მოიცდის ამ რამოდენიმე დღეს, ის მზადაა გაყიდოს საქონელი უფრო ნაკლებ ფასში, ოღონდ კი მიიღოს ფული ხელში, საქონლის ჩაბარებისას.

ნ. შანშიაშვილი.

## სამხედრო საქმე
## ჩვენი სამხედრო სამეცნიერო ორგანიზაცია.

(იხილე გუშინდელი ნომერი)

გამომუშავებულ უნდა იქნეს მიდგომა მეცადინეობის მხრივ-გლეხობასთან, მოეწყოს სამხედრო კუთხეები ქოხსამკითხველოებში და სხვა... პირველ რიგში უნდა იყოს დაყენებული არა კუთხის გარეგნული ფორმა, არამედ მისი საქმიანობა.

სამხედრო კუთხეში უნდა იყოს ტიპიური ბიბლიოთეკა—სპეციალურად ქოხ-სამკითხველოსთვის, ე. ი. სამხედრო პოლიტიკური ხასიათის წიგნები, შესაფერისი პლაკატები, განსაკუთრებით ავიოქიმის და სხვა და სხვა დიაგრამები და ლოზუნგები, იარაღები, მათი ნახაზები და სხვა. კუთხეში არ უნდა იყოს ისეთი პლაკატი ან სხვა რაიმე, რომ დაინტერესებულ ამხანაგმა მისი წაკითხვა და დათვალიერება ვერ შესძლოს. „შაშხანა თოფი“ და სხვა იარაღი, თუ ერთის მეტი არ არის, იმ შემთხვევაში ის არ უნდა იყოს დაშლილი და აწყობილი ფიცრებზე, როგორც ეს ხდება ნაწილებში, ვინაიდან ასეთს არავითარი სარგებლობის მოტანა მისი შესწავლის საქმეში არ შეუძლია: შაშხანას და სხვა იარაღების შესწავლა და გაცნობა უფრო მიზანშეწონილია სამხედრო კუთხეებისთვის, ვიდრე ასეთები იქნეს დაშლილი და აწყობილი ფიცრებზე, რადგანაც უკანასკნელ შემთხვევაში ის წარმოადგენს მშრალ მასალას.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქიმიურ საქმეს.

გლეხმა უნდა იცოდეს, თუ როგორ, რანაირათ და როგორ გაიკეთოს აირმსპობი და სხვა. მთელი მუშაობა უნდა იყოს მხოლოთ პრაქტიკული, მით უმეტეს სროლა, რომლის წარმოებასთან ერთად უნდა მოხდეს საჭირო ცნობების მიწოდება. თეორიული—ანდა აგიტაცია-პროპაგანდა—უნდა მდგომარეობდეს: სამოქალაქო ომის და წითელი არმიის ისტორიაზე, მომავალი ომი, ტეხნიკის განვითარება, ჩვენი შეიარაღება და სხვა; ამის შესახებ უნდა იქნას ჩამოყალიბებული სათანადო საკითხები, რის საშუალებით უნდა გაიმართოს —სამხედრო „ანკესი“ საჩუქრებით. უკანასკნელი დიდ ყურადღებას მიიპყრობს და სარგებლობას მოგვიტანს,—ხოლო, თუ ამხანაგმა ვერ განმარტა შეხვედრილი საკითხი, იმ შემთხვევაში ხელმძღვანელის ან აუდიტორიიდან მსურველის მიერ უნდა იქნეს იქვე ახსნილი.

კუთხის გამგეთ უნდა იქნას არჩეული ცოტათი მაინც სამხედრო საქმის მცოდნე ამხანაგი, რომელსაც უნდა გაეწიოს სათანადო ხელმძღვანელობა, უნდა მოეწყოს სამხედრო ექსკურსიები, რომელიც დაახლოვებს მოსახლეობას სამხედრო ორგანიზაციებთან.

ხელმძღვანელები უნდა ეცადონ, რომ შექმნან აუდიტორიიდან მეტი აქტივები. წერტზე მყოფ უფპოლიტშემადგენლობამ სხვათა შორის მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ სოფლის მასწავლებლებთან და ასეთი მუშაობა უნდა აწარმოონ სამოქალაქო სკოლებში, სადაც ახალგაზრდობა უფრო დაინტერესებულათ მოჰკიდებს სამხედრო საქმეს ხელს, აგრეთვე ადგილობრივად მყოფ სათადარიგო მეთაურებთან, რომლებიც უნდა ჩაბან მუშაობაში.

ჯ. ქუთელია.

## საქონლის გატანა საზღვარგარედ.

საზოგადოება „უდინი“-მ საჯევახოს რაიონში დაამზადა და გააგზავნა ბათუმში 16 ვაგონი კაკლის ხე უმაღლესი ხარისხის, საზღვარგარედ გასაგზავნად.

მოკლე დროში დამზადდება კიდევ 30-მდი ვაგონი კაკლის ხე.

სასოფლო სამეურნეო საზოგადოება „წინსვლა“-მ სამტრედიაში დაამზადა და გააგზავნა ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სახელზე 3 ვაგონი კვერცხი, საზღვარ გარედ გასატანად.

## წ.-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები

პოლიტგანათლების განყოფილებამ გახსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სამი სკოლა სოფელ ყულევში, 12 ვერსზე ფოთიდან.

სკოლები ნაანგარიშევია 70 მსმენელისთვის.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

## მ.გ.წ. არმიიდან გათავისუფლებულ მეთაურთა შემადგენლობის უზრუნველყოფა.

(ახალ კანონზე პენსიების შესახებ).

2. თუ რომ მეთაურთა შემადგენლობის პირი ცნობილია ინვალიდად, დამოუკიდებლად ინვალიდობის ჯგუფებისა (სულ ინვალიდობის ჯგუფი ექვსია), მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ინვალიდობა გამოწვეულია სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით.

ამ შემთხვევაში პენსიის რაოდენობა განისაზღვრება ჯამაგირის 25 პროცენტით.

3. თუ რომ მეთაურთა შემადგენლობის პირი ცნობილია ინვალიდად, როგორც წინა შემთხვევაში, დამოუკიდებლად ინვალიდობის ჯგუფისა, მაგრამ წინა შემთხვევისგან განსხვავებით, იმისდა მიხედვით,—გამოწვეულია თუ არა ინვალიდობა სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ მიზეზებით, და მასთან—იმ შემთხვევაში, თუ რომ ხსენებულ პირს უმსახურია მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში 10 და მეტი წელიწადი.

ამ შემთხვევაში, თუ რომ მეთაურს უმსახურია წითელ არმიაში 10 წელიწადი, ეძლევა პენსია ჯამაგირის 35 პროც.-ს რაოდენობით, ხოლო ყოველ ზედმეტი წლისთვის (10 წელს ზევით) პენსია გაუდიდდება 1 პროცენტით 1-ლ ხუთ წელში და 2 პროც.-თ შემდეგ წლებში.

4. თუ რომ მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში უმსახურია მეთაურთა შემადგენლობის თანამდებობაზე 20 წელიწადი.

ამ შემთხვევაში პენსიის რაოდენობა განისაზღვრება ჯამაგირის 50 პროცენტით და 1-ლ ხუთი წლის განმავლობაში თვითეულ წლისთვის ემატება ჯამაგირის 4 პროცენტი, ხოლო შემდეგი ხუთი წლისთვის 6 პროც. იმ ანგარიშით, რომ 30 წლის დამსახურების შემდეგ პენსია უნდა უდრიდეს ჯამაგირის 100 პროცენტს, ე. ი. სრულ ჯამაგირს.

5. განსაკუთრებით უნდა შეჰრდეთ პენსიის გამოანგარიშების მე-5 საფუძველზე, რომელიც დაწესებულია სპეციალურად ძველი არმიის სამხედრო მსახურთათვის, რომლებსაც თავიანთი ხნევანობისა და განსაზღვრულ სათანამდებო ვადების გამო, არ შეუძლიათ დაიმსახურონ უფლება პენსიაზე ჩვეულებრივი წესით.

უწევს რა ანგარიშს ერთის მხრივ იმ გარემოებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი არმიის სპეციალისტების მონაწილეობას წითელი არმიის ორგანიზაციის პერიოდში, ხოლო მეორეს მხრივ, ამ სამხედრო მსახურთაგან იმათ უზრუნველყოფის მიზანშეუწონლობას, რომლებიც იძულებული იყვნენ შესულიყვნენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში მობილიზაციის ძალით ანდა მატერიალური გაჭირვების გამო, რომელმაც აიძულა გაეგრძელებიათ სამხედრო სამსახური,—ამ შემთხვევაში „დადგენილება“-ში განსაზღვრულია ძველი არმიის სამხედრო მსახურთა უზრუნველყოფის უფლება მათი ხნევანობის მიხედვით (არა ნაკლებ 45 წლისა), ხოლო უმთავრესად მის მიხედვით, თუ როდის შემოსულან ისინი მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში.

პენსიის გამოანგარიშება ამ საფუძველზე ხდება მხოლოდ ძველი არმიის იმ სამხედრო მსახურთათვის, რომლებიც შევიდენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში არა უგვიანეს 1918 წლის 31 დეკემბრისა (გამონაკლის შემთხვევებში სამხედრო საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს ეძლევა უფლება დაუნიშნოს პენსია იმ პირებს, რომლებიც შესულან არმიაში 1919 წლის 1-ლ იანვრიდან 1-ლ ნოემბრამდი) ე. ი. იმ პერიოდში, როცა არმიის შევსება მეთაურთა შემადგენლობით სწარმოებდა მხოლოდ ნებაყოფლობითი წესით (თავის სურვილით), ხოლო სამოქალაქო ომის ფრონტებზე მდგომარეობა მერყევი იყო.

ძველი არმიის სამხედრო მსახურთ პენსია ენიშნებათ:

ა) ვისაც 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისთვის შეუსრულდა 45 წელი—35 პროც.-ს რაოდენობით, თუ რომ „დადგენილების“ შემოღების დღიდან გათავისუფლებულ იქნა ერთი წლის განმავლობაში; ამასთან მას პენსიაზე ემატება კიდევ ჯამაგირის 3 პროც. არმიაში თვითეული ზედმეტი წლის სამსახურისთვის:

ბ) ვისაც 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისთვის არ შესრულებია 45 წელი, პენსია შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ 45 წლის მიღწევის შემდეგ, მაგრამ ის გამოიანგარიშება 1925 წ. 1-ლ ოქტომბრამდი არსებულ ჯამაგირის 35 პროც-ს რაოდენობით; მასთან აქ ემატება შემდეგი ხუთი წლისთვის, თვითეულ წელში—ჯამაგირის თითო პროცენტი, ხოლო 5 წლის შემდეგ—ორ-ორი პროცენტი წელიწადში.

პენსიის მისაღებად სამსახურის ვადის გამოანგარიშებისას, სამსახური ვადით მსახურისთვის მერიგე და უფშემადგენლობაში, როგორც საერთო წესი, წელთა დამსახურებაში არ ჩაითვლება; გამონაკლისი დაშვებულია იმ პირთა მიმართ, რომელთაც გაუვლიათ კურსი სამხედრო სასწავლებლებში; აღნიშნულ პირთ დამსახურებული წლები ეანგარიშებათ სამხედრო სასწავლებელში შესვლის დღიდან; წლების დამსახურებაში ჩაეთვლებათ აგრეთვე დრო ნებაყოფლობითი სამსახურის ან თუ გამოწვეული იყო არმიაში პარტიულ და პროფესიონალურ მობილიზაციის წესით.

გარდა ამისა ვადების გამოანგარიშების დროს დაწესებულია მთელი რიგი შეღავათებისა. ერთის მხრივ, ეს შეღავათები წესდება განსაკუთრებულ პირობების მიხედვით, რომლებშიაც მიმდინარეობდა სამხედრო მსახურის სამსახური, როგორიცაა: სამსახური მომქმედ არმიაში, მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებაში ბანდიტიზმის წინააღმდეგ ან აჯანყების ჩაქრობის დროს, მონაწილეობა წითელ გვარდიაში, სამსახური შავი ჭირის რაიონებში; მეორეს მხრივ იმისდამიხედვით, თუ რა საშიშროებას წარმოადგენდა სამსახური ზოგიერთ გვარი იარაღის ჯარებში (საჰაერო ფლოტში მფრინავის თანამდებობაზე, წყალქვეშა ნავებზე, სანაპირო ჯარებში და სხვა). განსაკუთრებული შეღავათები დაწესებულია „წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოვებულ პირთათვის, რომელთაც ჩვეულებრივი წესით გამოანგარიშებული პენსია უდიდდებათ 10 პრ. თვითეული ორდენისთვის.

(დასასრული იქნება).

პ. პოლიანსკი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## მანევრებზე.

1-ლი ლეგ. საკავშირო და ცხენოსანი მზვ. ოცეული.

2 აპრილს ლეგიონის ხსენებული ნაწილები გაემგზავრენ მანევრების ჩასატარებლად. წითელ არმიელების სიხალისეს საზღვარი არ ქონდა. ყველას სიამოვნობდა მანევრებში საკუთარი თავის გამოცდა და მიეშურებოდენ სამანევრო ადგილისაკენ, რომელიც დანიშნული იყო აეროდრომის მიდამოებში. აქ საკავშირო გუნდს უნდა ეწარმოებია თავდაცვითი ბრძოლა იერიშზე წამოსული მტრის წინააღმდეგ. ღამის 9 საათიდან საკავშირო გუნდი სრულიად მომზადებული უკვე უცდიდა მტრის შემოტევას.

ღამის 10 საათზე საკავშირო გუნდს ერთ მოწინავე ათეულს უკვე დაესხენ თავს მოწინააღმდეგენი. გაჩაღდა ნამდვილი ბრძოლის სურათი ცარიელი ვაზნები. ამავე დროს წინა ათეულს სასწრაფოდ მიეშველა მეორე ათეული და მტერი სწრაფად იქნა უკუგდებული.

ამით დამთავრდა მთელი სამანევრო ამოცანა.

12 საათი იყო. მოვიყარეთ თავი და გაიმართა საუბარი ბრძოლაზე. დიდ ხანს დაობდენ წითელ არმიელები ყაზარმაში მოსვლის შემდეგაც. თვითეული თავისებურად აფასებდა მანევრებს, მაგრამ ერთში კი ყველა ერთნაირი სურვილის იყო: კიდევ გამართულიყო ასეთი მანევრები და მეტი სამარი გამოცდილება მიეღოთ.

სამხედრო მურვანიძე.

## ჩვენი წრეების საქმიანობიდან,

მე-4 ლეგიონის მე 2 ათასეული.

დიდი ხანია მას შემდეგ რაც ათასეულმა მოაწყო ლენინის და სამხედრო სამეცნიერო კუთხეები, რომლებშიდაც ჩამოყალიბებულია სხვა და სხვა ბირთვებიც. ადგილობრივი ტეხნიკუმის მოწაფეები, მუშები და გლეხები სიამოვნებით შედიან ჩვენს ნაწილში და ეცნობიან ჯარის ცხოვრებას და ჩვენს საქმიანობას.

სამხედრო სამეცნიერო კუთხე მდიდარია ყველა აუცილებელი განყოფილებებით. აქ არსებობს, ჯარის საბრძოლო შეიარაღების, ავიაქიმის, საინჟინერო, სროლის საქმის, საგარნიზონო და ტოპოგრაფიის კუთხეები.

სამხედრო სამეცნიერო წრის მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს.

ათასეულში სულ ოთხი წრე არსებობს: პოლიტწრე, სამხედროთა, სამხედრო და მომღერალთა წრეები. ყველა მათგანში სისტემატიურად მიმდინარეობს მეცადინეობა. წრის წევრები საკმაოდ აქტიური არიან. მეცადინეობას სისტემატიურად ესწრებიან.

სამხედრო წრეში გვყავან აგრეთვე ცვალებადელი წითელ არმიელები და თავისუფალი მოქალაქენიც, რომლებთანაც ყოველ კვირაობით ვაწარმოებთ მეცადინეობას.

სამხედრო ლ. ჰეღიძე.

## მეთაურებიც ჩვენთან არიან.

მე-2 არტლეგ. 1-ლი დივიზიონი.

დივიზიონში დიდი ყურადღება ექცევა საერთო განვითარების საქმეს. ხშირად ტარდება საუბრები სხვა და სხვა საკითხებზე. ნაწილში არსებული სხვა და სხვა ხასიათის წრეები კი ენერგიულად აწარმოებენ მუშაობას.

დივიზიონში ჩამოყალიბებულია აგრეთვე მეორე საფეხურის პოლიტსკოლა. სამაგალითოდ არიან დაყენებული ფეხბურთელთა და სამხედროთა წრეები, რომლებშიდაც სიამოვნებით ეწერებიან მეთაურებიც.

სამხედრო დ. ბანძელაძე.

## შეჯიბრში ჩვენ გავიმარჯვეთ.

ამას წინად მესამე ლეგიონის ნაწილებში მოეწყო შეჯიბრი ლენინის კუთხეების კარგად მოწყობისათვის. ყველა ასეულები გულმოდგინეთ შეუდგენ თავისი ლენკუთხეების გამშვენიერებას. ყველგან გაცხოველებული იყო მუშაობა.

ლეგიონის 7 ასეული დიდი ენერგიით შეუდგა თავისი კუთხის მოწყობას და კიდევაც გაიმარჯვა.

შეჯიბრი დათავდა 7 ასეულის ლენკუთხის გამარჯვებით, რისთვისაც შესაფერი ჯილდო მიიღო ასეულმა.

წითელ არმიელები ძლიერ გაახარა ამ გარემოებამ და კიდევ უფრო გულმოდგინეთ შეუდგენ კუთხეში მუშაობას.

წ. არმ. მამალაძე.

## ჭადრაკი ჩვენს ნაწილებში.

საერთო ყურადღების ღირსია.

1-ლი ცალკე საკავშირო ასეული.

ჩვენს ასეულში მრავალ მომქმედ წრეთა შორის განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს მოჭადრაკეთა წრე, რომელიც ახლახან იქნა დაარსებული და რომლის მიზანსაც შეადგენს ჭადრაკის ისტორიისა და თამაშის წესების შესწავლა. წრისადმი წ. არმიელები დიდ ინტერესს იჩენენ: წრის წევრთა რიცხვი უკვე 48 კაცამდე ავიდა.

წრეში მეცადინეობა სწარმოებს არა ნაკლებს თვეში 2 ჯერ. განზრახულია ახლო ხანში მოეწყოს მოჭადრაკეთა ტურნირი ჯერ ჩვენი ასეულისა და შემდეგ კი გარნიზონის მასშტაბით.

ზედმეტია ლაპარაკი წრის საერთო მნიშვნელობაზე, როგორც ერთ-ერთ ფაქტორზე, რომელიც გართობასთან ერთად ავითარებს არმიელებში საბრძოლო ტაქტიკისა და სტრატეგიის ცოდნას.

საჭიროა ამ წრეს, როგორც ჩვენი, ისე სხვა ნაწილების ხელმძღვანელებმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და უზრუნველყონ მისი გავრცელება ყველა ჩვენი სამხედრო ნაწილებში.

სამხედრო ვ. კუნჭულია.

## კონკურსი საუკეთესო მუშაკებზე.

### სამაგალითო ბიბგამგე.

მე-4 ლეგიონის მე-2 ათასეული.

ამხ. იონა გურგენიძე წითელი ჯარის რიგებში მსახურობს 1924 წლის მაისიდან. ის დიდი ხალისით ეცნობოდა ნაწილში წარმოებულ ყოველგვარ მუშაობას. განსაკუთრებული ენერგიულობით მოკიდა ხელი ამხანაგმა საკლუბო დარში მუშაობას. შემდეგ უახლოვდება ბიბლიოთეკას და სათავეში უდგება მას.

ამხ. ყოველ დღე სისტემატიურად აწარმოებდა წითელ არმიელებში ხმამაღალ კითხვას, საუბრებს და სხვა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ის გადაყვანილი იქნა ლეგიონის ბიბლიოთეკაში და ხშირად ასრულებდა ბიბგამგის მოვალეობასაც. 1925 წლის ივნისში ამხანაგი გადმოყვანილი იქნა მე-2 ათასეულის ბიბგამგეთ, რომელმაც საგრძნობლად გამოაცოცხლა ბიბლიოთეკა. ამჟამად მე-2 ათასეულის ბიბლიოთეკა ამხ. გურგენიძის წყალობით ერთ საუკეთესოთ ითვლება მთელს ლეგიონში. გამოყოფილი ყავს ბიბლიოთეკის აქტივი, რომელთა შორის განაწილებული აქვს ვალდებულებანი. მჭიდრო კავშირი აქვს ადგილობრივ სამოქალაქო ბიბლიოთეკებთან. ხშირად აწყობს ბიბექსკურსიებს და ლიტერატურულ გასამართლებებს. ამასთან ერთად აწარმოებს მუშაობას წერა-კითხვის უცოდინარ წითელ არმიელებს შორის და საუკეთესოდ ასრულებს ბიბგამგის მოვალეობას.

სამხედრო კაკაბაძე.

## ღირსეული მეთაური.

2-ე საკავშირო ასეული.

ამხ. ძოხრეიძე აკაკი არის 4-ე ლეგიონის კავშირის უფროსი.

ამ ჟამად ის მოვლინებულია ჩვენს ასეულში 15 იანვრიდან საკავშირო სკოლაში, წითელ არმიელებისათვის კავშირის საქმის შესასწავლათ.

ამ მოკლე ხნის განმავლობაში ამხანაგმა თავისი მუყაითი საქმიანობის გამო წითელ არმიელებში და ყველა ამხანაგებში დიდი სიმპატია და ავტორიტეტი დაიმსახურა. გარდა ამისა, რომ ის ამეცადინებს წ. არმიელებს სამწყობრო და სპეციალურ საქმეში, ხელმძღვანელობს და დიდი მუშაობის უნარს იჩენს ყველა წრეებში; ატარებს პოლიტ-მეცადინეობას წ.არმიელების ერთ ჯგუფთან, ითვლება სარედაქციო კოლეგიაში და დიდ თაოსნობას იჩენს კედლის გაზეთის გამოცემასა და ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში.

ხელმძღვანელობს და იზიდავს წ. არმიელებს სხვა და სხვა კუთხეებში, უხსნის მათ კუთხეების მნიშვნელობას.

ყველა თავისუფალ საათებს ანდომებს წ. არმიელების განვითარების საქმეს.

ასეთი მეთაური ღირსია მადლობის.

ვ. გორათელი.

## ირანის ველებზე

(გაგრძელება)

ზ.

რა ბრძოლების შემდეგ დასვენებდენ სადმე ბანაკად:

გაჩაღდებოდა:

მუსიკა...

სიმღერა...

ცეკვა...

— ვალაჰ, ვერ გამიგია ეს რა ხალხია, სასიკვდილოდ მიდიან და გეგონებათ საქორწინო მაყრიონიაო,

უკვირდათ ზოგიერთებს...

— აგრე იცის თავისუფლების სიყვარულმა!..

— მერე და საიდან მოსულნი, სადაურნი!..

— ისტორიულად ჩვენ, ჩვენი მთავრები მუდამ გვამტერებდენ მაგათზე, გვერევებოდენ მაგათ ქვეყნის დასარბევად, ასაოხრებლად, გასაძლეტად, ჩვენ ვდავლიეთ ეგ ხალხი, და, ხომ ხედავ რითი გვიხდიან?

— განა დასავიწყარია ეს სიკეთე?

— მართლაც რომ გულკეთილ შვილებს ზრდის პატარა გურჯისტანი...

— ყველაფერში სიცოცხლით ალსავსენი, სანეტარონი...

ისმოდა ხოლმე, ქუჩებში შეკრებილ სპარსელ მშრომელი ხალხის ლაპარაკი, რა ურჩი რაზმები ჩაუვლიდენ ღიმილით.

და:

გზა და გზა უხვდებოდენ ყველგან მხიარულად, მადლიერი გამოხედვით, პურმარილით, მადლობით...

მებრძოლებს ეპატიჟებოდენ, სთავაზობდენ თავის გულ-უხვობას...

ბანებზე გადმომდგარი ჩადრიანი ქალები ყვავილებს ესროდენ...

ვინ იცის რამდენ მათგანის ჩუმი გამოხედვა ნატვრას ჰპარავდა რაზმელებს...

— ერთი ამ გოგოების სახე მაინც დამანახვა, ნეტა ლამაზები არიან?

— ვერა ნახე ერთმა მათგანმა რა შავი მაყვლის თვალებით გადმოანათა?

— ო, ერთი კოცნა მაინც...

ხუმრობდენ რაზმელები, ერთმანში.

— ჰა, გინდათ თითო ყველას შეგრთოთ?

ეუბნება სპარსელი ამხანაგი, სიცილით.

— აგრე!..

— ფეშქაშ!..

ეთანხმებიან სხვებიც...

გაისმის მხიარული, მეგობრული სიცილი...

თ.

ტრიუმფალური იყო თეჰირანს შესვლა...

— ახი არ იქნება რომ თქვენი შაჰის გვირგვინი ერთი ცოტა ხნით მაინც დავიდგა, რომ ისტორიებს ვათქმევინო:

— „მუდამ სპარსელები კი არ იყვნენ საქართველოს მბრძანებელნი, არამედ, ერთხელ ქართველიც იყო ირანის ტახტზეო!“

ეუბნება რაზმის მეთაური ტრია სათთარს, რა შაჰის სასახლე აიღეს და აივანზე გადმოდგენ, სიცილით, რაიც საერთო მხიარულებას ჰქმნის მებრძოლებში.

— რა გგონია... სპარსეთის ხალხს ისე შეაყვარეთ თავი, რომ, საკმარისია ეგ სთქვა საჯაროდ, და უარს კი არ გეტყვიან.

მიუგო სათარამ, სიცილითვე...

— მაგრამ, ჩვენ რევოლიუციონერები ვართ და არა გვირგვინების მოტრფიალენი; ჩვენ ვანგრევთ ყველა სამეფო ტახტებს და ერთი პიროვნების მბრძანებლობას!

დაატანა ტრიამვე...

გრიალებს სპარსული მარში...

მღერიან გამარჯვებულნი...

— გაუმარჯოს რევოლიუციას!

— სალამი თავისუფლებას!

— ვაშა ქართველებისა და ჩვენს ძმობას!

— გაუმარჯოს სათარ-ხანს!

— სალამ ტრიას!

გაისმის აქეთ-იქიდან...

მოედანზე შეყრილი ზღვა ხალხი კი გრიალებს:

— იაშასუნ გურჯი!

წითელი დროშები თავმომწონეთ იბერტყენ დაფლეთილ კალთებს...

ნიავის ასისინება ჰკოცნის ლაღი თქმით...

მზე ავარაყებს თოფის წამლით გამურულ მებრძოლთ პროფილებს...

შესვენებული ცხენები მოუსვენრად სცემენ ძირს ტოტებს, ახალი შეტევის მოლოდინში...

მეყუმბარენი პატრუქს ასწორებენ...

ტერორისტები ვაზნებს ითვლიან...

ცის ტატნობი ლურჯი დიმილით დაჰქათქათებს გამარჯვებას...

საერთო ნეტარება...

აღტაცება...

ი.

ბევრი სახანოები განუდგა რევოლიუციას...

პროვინციებში არეულობა დაიწყო...

რევოლიუციის მომხრენი და მოწინააღმდეგენი მუსრავდენ ერთმანეთს, განსაკუთრებით შახსევანები და ბახტიარები...

უკან მოდიან ველ გადახდილი რაზმელები...

ოცდაათამდე იყვნენ ერთ რაზმში, რომელმაც გამოვლო დიდი მანძილი სამშობლოსაკენ...

სიცხე, პაპანაქებაა...

ბული ასდის დედამიწას...

არსად ჩრდილი, რომ თავი შეაფარონ...

არსად წყალი, რომ წყურვილი მოიკლან...

— აგერა, ბიჭებო!

წამოიძახა ერთმა და ხელი გაიშვირა კარგა მოშორებით მდებარე სოფელზე.

მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს...

მიდიან, მიდიან კი არა, მიჰქრიან...

სოფელს არც კი იყვნენ მიახლოვებულნი, რომ დაიძახა მეორე ამხანაგმა:

— ჰა!

შემოეხვიენ...

და:

ჯერ არც კი ჰქონდა წყალი რამოდენიმეს დალეული, რომ შენიშნეს:

მინდვრებზე დაოთხილი მოაქროლებდენ ცხენებს ვილაცანი...

მტვერი ასდიოდა იქაუროობას...

— ვინ არიან?

— ვინ იცის...

— უჰ, რამდენი არიან?!

— ჰმ...

გადახედეს ერთმანეთს, რაზმელებმა.

— აქეთ მოდიან...

მოემზადენ, მაგრამ არ იციან ვინ არიან...

მათ რა ჰასთან შეკრებილნი შეამჩნიეს, აქეთ გამოჰქუსლეს, სწრაფად შემოარტყეს ალყა...

რაზმელებმა არ იცოდენ ვინ იყვნენ, რა ექნათ, წინააღმდეგობა მაინც ვერ გაეწეოდა, ასამდე მხედარს...

მათი ნაომი, საზარელი სახეები კარგს არას უქადდა რაზმელებს...

მათ აგრეთვე ეტყობოდათ თითქოს შიში, თითქოს ვილაცას გამოქცეოდენ...

— აა! გურჯები?! ჰმ!

შეჰყვირა ხანმა, დაცინვით...

— დიაღ, ჩვენა ვართ...

მიუგო ერთერთმა რაზმელმა შუბლშენაოჭებით, რადგანაც გრძნობდა მის არა კეთილსაიმედობას...

— შახსევანები!

— ეჰეე!

გადაულაპარაკეს ერთმანეთს..

კ.

— აბა, ყველას თავები წააგდებინეთ და ჰაში გადაუძახეთ!

შეჰყვირა ხანმა თავის ხალხს, და ზიზღით მიუთითა რაზმელებზე...

ქარქაშიდან იშიშვლეს ხმლები...

ბევრს უშიშარს რევოლიუციონერს ფერი ეცვალა...

(შემდეგი იქნება)

ხ. ერთაწმინდელი.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### ჩვენი კავშირი 3-ე რაიკომთან.

6-ე ლეგიონი.

28 მარტს ჩვენს ნაწილს ესტუმრა მესამე რაიკომის კომკავშირის პიონერთა ორგანიზაცია, რომლებმაც მოსვლისთანავე დაათვალიერეს ჩვენი ყაზარმის წითელი კუთხეები, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე.

საღამოს 8 ნახ. საათზე ლეგიონის კლუბში გაიმართა საზეიმო სხდომა, სადაც მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ჩვენი კლუბის გამგე. მან აღნიშნა თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი კავშირის დაჭერას პიონერთა ორგანიზაციასთან და სხვა. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ერთი პიონერთაგანი, რომელმაც ილაპარაკა სომხურ ენაზე, პიონერთა ორგანიზაციის უფროსი, რომელმაც ამასთანავე გვაჩუქ კედლის გაზეთი.

საზეიმო სხდომის დახურვის შემდეგ გაიმართა სპექტაკლი, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელ ხალხზე, გაიმართა პიონერების ვარჯიში.

სამხკორი ვ. შენგელია.

### ჩვენი პარტიული ყოფა-ცხოვრებიდან.

4-ხე ლეგ. მე-8 ასეულის კომუჯრედში ტარდებოდა ამ დრომდე თვეში ორჯერ კრება. ეხლა კი ცირკულიარის თანახმად ვატარებთ კრებებს კვირაში ერთჯერ.

26 მარტს შესდგა უჯრედის დახურული კრება, რომელსაც დაესწრო ყველა წევრები და კანდიდატები. კრების დღის წესრიგს შეიცავდა მე-XIV პარტყრილობის შედეგები, და ჩვენი შინაური და საგარეო მდგომარეობა. მოხსენება გააკეთა ამხ. პატარავამ, რომელმაც ფაქტებით დაამტკიცა თუ რამდენად მტკიცეა ჩვენი მდგომარეობა ამჟამად.

იყო მრავალი შეკითხვები. მსმენელები დიდი კმაყოფილი დარჩნენ მოხსენებით, რომელზედაც კრებამ მიიღო სათანადო რეზოლიუცია უჯრედის მუშაობა ამ უკანასკნელად გამოცოცხლებულია. მომავალში კი განზრახულია უფრო გამოცოცხლდეს მუშაობა ჩვენს უჯრედში.

კალმის—წვერი.

### მოგვეცით ხელმძღვანელი

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონის სამმართველოს გუნდის წითელ არმიელები ძლიერ არიან ჩამორჩენილი კულტურულ მუშაობაში. არა გვყავს ხელმძღვანელი, რომ ხმამაღალი კითხვა მაინც აწარმოოს ჩვენთან. გაზეთები სისტემატიურად მოგვდის, მაგრამ რად გვინდა რომ ვერ ვხმარობთ

საჭიროა ყურადღებას მოგვაქცევდენ ჩვენი ხელმძღვანელები და მოგვცემდენ ამხანაგებს, რომლებიც სხვა და სხვა საუბრების ჩატარებასთან ერთად მოგვიწყობდენ ხმამაღალ კითხვასაც.

წ. არმ. წრფელი.

### კულტ-მუშაობა ჩვენთან.

1-ლი ცალკე საკავშირო ასეულში.

უკვე კარგი ხანია რაც ხსენებულ ნაწილში ჩამოყალიბდა ბირთვების სახით სხვა და სხვა წრეები. პირველ ხანებში მათი მუშაობა არ იყო დამაკმაყოფილებელი, მაგრამ ამ ბოლო ხანებში წრეები ძლიერ გამოცოცხლდენ და სისტემატიურად მიმდინარეობს მეცადინეობა. სასურველია ამ წრეების ხელმძღვანელები კიდევ უფრო ენერგიულად მოეკიდებოდენ მუშაობას.

სამხკორი ვ. ჯოხაძე.

### ქართული სამხედრო ტრიბუნალი.

ქართული სამხედრო ტრიბუნალმა 31—მარტს განიხილა მე-5-ე ლეგიონის ასის თავის პ. ჩხაიძის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა ს.ს.კ. 112-მ. და 158, გათვალისწინებულ დანაშაულში.

საქმის შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში: 1925-წ. 8—მარტს ჩხაიძე ბრუნდებოდა შექეიფებული ნაცნობებიდან საღამოს—ჟამს. გზაში შეხვდებიან ბიძაშვილები—ბეგულოვები, რომლებიც მიაგორებდენ ველოსიპედს. ჩხაიძე მიმართავს ბეგულოვებს ეთხოვებინათ მისთვის ველოსიპედი; ისინიც უარს არ ეუბნებიან, მაგრამ ჩხაიძე გაივლის რა 5—7 ნაბიჯს გადმოვარდება; ბიძაშვილები მიდიან ჩხაიძესთან და სთხოვენ ველოსიპედს ვინაიდან ჩხაიძე მთვრალი იყო და შეეძლო დაეზიანებინა; ჩხაიძე ბეგლოვებზე ველოსიპედის დაბრუნებას აღარ ფიქრობდა, „ტკბილი“ საუბრის შემდეგ ჩხაიძე გადადის იერიშზე, ჯერ ერთ ბიძაშვილს გაარტყავს რევოლვერის კონდახს თავში, და შემდეგ მეორეს დაჭრის მარცხენა ფერდში ტყვიით.

ტრიბუნალმა ზემოაღნიშნული გარემოება სცნო დამტკიცებულად, და თანახმად ს.ს.კ. 112-მუხ. მიესაჯა მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, 1926-წ. 20-მარტის ამინისტიის შეფარდებით. რაც შეეხება 158-მუხ. ს.ს.კ. მოეხსნა სრულიად, ზემო აღნიშნული ამინისტიის თანახმად საბოლოვოდ დარჩა ერთი წელი თავისუფლების აღკვეთა.

გ—კა.

## ჩვენს სამხკორთა შორის

### რა ნაყოფი მოგვცა სამხკორთა წრის მუშაობამ?

მე-2 საკავშირო ასეული

ჩვენი სამხკორთა წრე საკმაოდ მოღონიერდა ამ უკანასკნელ ხანებში. წრის ხელმძღვანელი, მიუხედავად იმისა, რომ ის დატვირთულია სხვა და სხვა საქმეებით, მაინც ენერგიულად ეკიდება თავის მოვალეობას.

მთელი ყურადღება მიქცეულია იქითკენ, რაც შეიძლება მეტი წითელ არმიელები ჩააბან წრეში.

მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს კვირაში ერთხელ, ხშირად ორჯერაც. მოხსენებები კეთდება სამხკორთა მოვალეობაზე, კედლის გაზეთებზე, გაზ. „წითელ არმიელის“ გარშემოდა მრავალი სხვა.

ამჟამათ წრეში ირიცხება 17 კაცამდე. ამათში იყვნენ ისეთები, რომლებმაც არ იცოდენ წერა-კითხვა და ნაწილში შეისწავლეს. ისინი ამ ჟამად კარგ თანამშრომლებათ ითვლებიან კედლის გაზეთში.

სამხკორთა წრის ამოქმედებამდე ასეულის კედლის გაზეთის რედკოლეგია ცუდ მდგომარეობაში იყო მასალების უქონლობის გამო, მაგრამ ეხლა მასალები თავზე საყრელია და დაწვრილებით შუქდება გაზეთში ნაწილის ნაკლულევანებანი და მიღწევები.

ასე გამოაცოცხლა ნაწილი ჩვენმა სამხკორთა წრემ.

სამხკორი ვ. რ.

## უცხოეთის არმიებში

### საფრანგეთი იარაღდება ინგლისის წინაამდეგ.

ამას წინად საფრანგეთის სამხედრო საზღვაო ფლოტი აწარმოებდა დიდ მანევრებს, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობდენ წყალქვეშა ნავები და საზღვაო ავიაცია.

მანევრების მიზანი იყო გამოერკვიათ, თუ რამდენად შესძლებს საფრანგეთის საზღვაო ფლოტი თავი დაიცვას ინგლისის თავდასხმისაგან ჩრდილოეთიდან. (ინგლისი, როგორც ვიცით დაცილებულია საფრანგეთიდან საგრძნობლად ვიწრო სრუტით—ლამანშით).

რამოდენიმე დღისა და ღამის განმავლობაში სწარმოებდა თავდასხმები შერბურგსა, გავრზე და დიუკერზე (ეს ქალაქები ყველა მდებარეობენ აღნიშნული სრუტის სანაპიროებზე).

სხვათა შორის ერთი ახალი მიღწევა საფრანგეთის საზღვაო ფლოტში—ახალი სისტემის ქიმიური გადამლობი ნაღმია.

აფეთქების დროს ეს ნაღმი არა თუ ამსხვრევს გემს, არამედ ქიმიური გაზებით სწამლავს გემში მყოფ მგზავრებს.

ამნაირად შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთი ტყვილა არ კარგავს დროს და ნერვიულად ემზადება მომავალი ომებისათვის.

### მუსოლინის მოწოდება.

იტალიის პარლამენტში გამართული იყო კამათი სახელმწიფოს სამხედრო ბიუჯეტის შესახებ. ამ საკითხის გარჩევის დროს იტალიის მთავრობის თავმჯდომარე—მუსოლინიმ წარმოსთქვა სიტყვა და იცავდა ძლიერად შეიარაღების საკითხს. სხვათა შორის მან შემდეგი განაცხადა: ჩვენ გვიხდება არსებობა მეტის მეტ ბურუსიან დღეებში; ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ ყოველწუთს შესაფერი შეიარაღებული შევხდეთ, როგორც შინაურ ისე გარეშე გართულებებს, რომლითაც გაჟღენთილია ატმოსფერო.

### იაპონიის საზღვაო ფლოტი.

საზღვაო შეიარაღებით იაპონიას, ინგლისისა და ამერიკის შემდეგ ამჟამად უჭირავს მესამე ადგილი. იაპონიის საზღვაო უწყების უპირველესი სურვილია ამჟამად თავისი საზღვაო ძალებით თუ არ გაასწროს გაუთანასწორდეს მაინც ამერიკას.

იაპონიის ყველა გემები თითქმის სულ ახალი აშენებული და 16 დიუმიანი ზარბაზნებით არიან შეიარაღებული. ასეთი გემები ჯერ-ჯერობით ორია იაპონიის განკარგულებაში.

კრეისერებითა და მსუბუქი კრეისერებით იაპონია ყველაზე უფრო მდიდარია. ასეთები მას ყავს 25. (ამერიკას კი 10). თუ ამას მიუმატებთ აგრეთვე საკმაოდ მრავალ-რიცხოვან წყალქვეშა ნავებს—იაპონია საკმაოდ ძლიერათ ითვლება ამ მხრივ.

## ამბები სოფლებიდან.

**აბანოს აგება.** ლეჩხუმის აღმასკომმა დაადგინა ააგოს ცაგერში სახალხო აბანო.

**ტელეფონი სოფლად.** თელავის აღმასკომმა გადასწყვიტა გაიყვანოს ტელეფონის ხაზი სოფ. ზემო-ალვანში.

**სასამართლოს სესიები.** თელავის აღმასკომმა დაადგინა მიწის საკითხზე ატეხილ დავათა მოსაწესრიგებლად მოაწყოს სოფლებში სასამართლოს სესიები.

რაჭის აღმასკომმა გადასცა სოფ. პატარა-ონის აღმასკომს ხე-ტყის მასალა კლუბის ასაგებათ.

**კინო ლეჩხუმში.** ლეჩხუმის აღმასკომმა დაადგინა მოაწყოს და გახსნას ცაგერში კინოთეატრი.

**ცხენის წყლის ნაპირების** გასამაგრებლათ ლეჩხუმის აღმასკომმა ააგო ხის დამბის მაგიერ ტინობის დამბა.

## ახალი ამბები

— ამ.-კავკ. სას.-სამეურნეო გამოფენის გახსნა გადაიდო 1-ლ მაისიდან 15 მაისამდე.

—საგამოფენო კომიტეტის ცნობით ამ.-კავკ. სას.-სამ. გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებს უცხოეთის 100 ფირმა.

— მუშტაიდის შესახვევის გასაფართოებლათ და მოსაწყობათ თბ. აღმასკომმა გადასდო 7.000 მანეთი.

— ტფილისის საბჭოს მთელი შემადგენლობა დღეს საგანგებო მატარებლით მიემგზავრება ავჭალაში „ზაჰესის“ სამუშაოთა დასათვალიერებლათ.

— სპარსული სკოლა ა[...] მასკომის განათლების განყო[...] ლებამ მიიღო თავის მზრუნ[...] ლობის ქვეშ.

— ფქვილი ტფილისისა[...] ვის. ამჟამად ტფილისში მო[...] რაგებულია 2 თვის საყოფი პ[...] რის ფქვილი.

—6 აპრილს პროფსაბჭოს დ[...] დარბაზში გაიხსნება საქ. მიწ[...] მუშაკთა კავშირის ყრილო[...]

— მეაბრეშუმეთა ყრილ[...] ბა. გუშინ გაიხსნა სრ. საქა[...] თველოს მეაბრეშუმეთა ყრ[...] ლობა.

— რემედასში ამჟამად ი[...] ვლება 70 ათასი წევრი.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ ღრმესი მადლობა გამოუცხადოთ [...] ქუთაისის ელექტრო-ტეხნიკუმის გამგეს, რომელმაც დიდ[...] დახმარება გაგვიწია ასეულის ლენკუთხის მოწყობაში, ს[...] დურგლო იარაღების და სახელოსნოს ჩვენს განკარგულებაშ[...] გადმოცემით. ამ გარემოებამ ძლიერ დააჩქარა ლენკუთხ[...] მოწყობის საქმე და საშვალება მისცა წითელარმიელებს კუ[...] ხეში მეცადინეობის წარმოებისათვის.

მე-3 ლეგ. მე-7 ასეულის წითელარმიელთა და უფრო[...] ლიტშემადგენლობის მონდობილობით ს. ბერიძე.

### ჩვენი ფოსტა.

ბინოკლს, მაღრაძეს, კიკნაძეს, ნ—ლს და ი. ჩ-ს თქვენ[...] წერილები ცვალებადელთა შეკრების და წითელი არმი[...] დღესასწაულების შესახებ მეტად დაგვიანებით მივიღე[...] არ დაიბეჭდება.

კ—ს. თქვენი წერილი ამხ. შ. მესხის შესახებ არ დაიბეჭდე[...] რადგან ამის შესახებ ერთხელ უკვე იყო ჩვენს გაზეთში[...]

ვალ. ბ—ძეს თარგმნილი და საკუთარი ლექსები ს. პერო[...] ვსკაიას შესახებ არ გამოდგა. არ დაბეჭდება.

ლომთა—ლომს თქვენი კორესპონდენცია ს. მარელისის შე[...] სახებ გადაეგზავნა გაზ. „ახალი სოფლის რედაქციას.

### ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედ[...] ში შემოტანილი აქვს განცხადება წითელ არმიელ ამხ. ვა[...] ლერიან რომანოზის-ძე ვეფხვაძეს კომპარტიის წევრად დამტკიცების შესახებ.

აღნიშნული კომუჯრედი სთხოვს ყველა იმ პირთ, ვი[...] საც რაიმე საწინააღმდეგო აქვთ ამხ. ვეფხვაძის პარტიის წევ[...] რად დამტკიცების შესახებ, გვაცნობოთ ერთი კვირის გა[...] მავლობაში წერილობით ან სიტყვიერად.

კომუჯრედის პ/მ მდივანი ახალაშვილი.

### განცხადებები.

ცხადდება ქ. ტფილისისა და მისი რაიონების მცხოვ[...] რებთა საყურადღებოდ, რომ 5 აპრილიდან 15-დი, ვერგიტ[...] ლოს გორაზე (ქალაქიდან ჩრდილოეთით) იწარმოებს მიწა[...] ში დაფლვა უვარგის ასაფეთქებელ ნივთიერებათა და მუშაო[...] ბის დამთავრების შემდეგ ეს მინდორი დახურული იქნება[...] ორმოები, სადაც დაფლულ იქნება საფრთხილო ყუმბარებ[...] და ნამტვრევები, დაფარულ იქნება ნაყარი მიწით და მინდო[...] რი აღნიშნული იქნება ოთხივ კუთხით სათანადო წარწერი[...] ამოთხრის დაუშვებლობის შესახებ.

ქალაქის კომენდანტი აბაშიძე.

### თბილისში მდგომ ყველა ქართულ ნაწილების სამხ[...]კომთა საყურადღებოთ.

ორშაბათს აპრილის 5 უნდა გაიგზავნონ წარმომადგენლები არმიის პოლიტსამმართველოში (ოთახი № 2) ქართულ ლიტერატურის მისაღებათ.

წარმომადგენლებს თან უნდა ჰქონდეთ მინდობილობა.

**დაიკარგა** „ევკოგრუზიდან„ მოცემული საწევრო წიგნაკი №2727 კონსტანტინე ქაჯაია[...] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.


სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3.

დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.